დანართი №1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესი

მუხლი1.ზოგადი დებულება

1. ეს წესი განსაზღვრავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესს.

მუხლი2. დახმარების გაცემის სახეები და ოდენობა

1. გაიწიოს მატერიალური დახმარება:

ა) ოპერაციის ან სამედიცინო მომსახურებისათვის – იმ თანხის 50%-ით, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000-ს, დაფინანსდეს 70%-ით, არაუმეტეს 700 ლარისა; დაბა ხარაგაულში არსებული საავადმყოფოს მომსახურებისას _ 100%, არაუმეტეს 700 ლარისა.

გამონაკლის შემთხვევაში, როცა მოქალაქის გადასახდელი თანხა 2000 (ორი ათასი) ლარზე მეტია, მაშინ გადასახდელი თანხის 50%, არანაკლებ 100 (ასი) ლარისა და არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.

სამედიცინო გამოკვლევებისთვის იგივე სქემით, არაუმეტეს 500 ლარისა;

სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების შემთხვევაში (ონკოლოგიური და სხვა მძიმე სახის დაავადება) _დახმარება განისაზღვროს 1000 ლარამდე.

ბ) ,,C" ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით ,,C" ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის განსასაზღვრი კვლევების დაფინანსება სოციალურად დაუცველთათვის, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000-ს, ღირებულების 30%-ით, დანარჩენი ბენეფიციარებისათვის _ 70%-ით;

გ) მედიკამენტების შესაძენად-150 ლარამდე შემდეგი დაავადებებისას:
   - გ.ა) აორტოკორონარული შუნტირების შემდგომი პერიოდის მკურნალობისას;
   - გ.ბ) ეპილეფსიის;
   - გ.გ) პარკინსონის;
   - გ.დ) ბრონქიალური ასთმის;
   - გ.ე) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას.

დ) კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ელემენტის შესაძენად _ წელიწადში 1000 ლარისოდენობით;

ე) 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადად _ 500 ლარის ოდენობით, 100 წელს გადაცილებულთ_ წელიწადში ერთჯერ 200 ლარი.

ვ)გარდაცვლილი ომისვეტერანის ან/დაიძულებით გადაადგილებულ გარდაცვლილიპირისდაკრძალვის ხარჯისთვის-250ლარი;

ზ) სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ 30000 სარეიტინგო ქულამდე მყოფ გარდაცვლილთა ოჯახის წევრს დაკრძალვის ხარჯისთვის- 250 ლარი;

თ) შშმ 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება.

ი) ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსური დახმარება ყოველთვიურად -100 ლარის ოდენობით და ლეიკემიით დაავადებულთათვის წელიწადში-600 ლარის ოდენობით;

კ) ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულ პირთა ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერ -100ლარი;

ლ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომრის ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და არ არის ჩართული სახელმწიფო პროგრამაში, მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად წელიწადში - 2000ლარი;

მ) სამამულო ომის მონაწილეებსა და უსინათლო მოქალაქეებს _ყოველთვიურად 30ლარის ოდენობით კომუნალური ხარჯების დასაფარავად;

ნ) უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება, რომლებიც თხოვნის მომენტში განიცდიან ცხოვრების მძიმე სოციალურ პირობებს _ არაუმეტეს 200 ლარისა.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში_100ლარი;

ბ) მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში-150ლარი;

გ) მესამე ბავშვის შეძენის შემთხვევაში-200ლარი;

დ) მეოთხე ბავშვის შეძენის შემთხვევაში-250ლარი;

ე) მეხუთე ბავშვის შეძენის შემთხვევაში - 300 ლარი და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას

თანხა იზრდება 50 ლარით;

ვ)ტყუპების შეძენის შემთხვევაში-500ლარი.

3. სტიქიის შედეგად დაზარალებულ ან საცხოვრებელი სახლის სიძველის გამო, უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხარისხის კატეგორიები:

ა) I კატეგორია-სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია სტიქიური მოვლენების შედეგად ან სიძველის გამო;

ბ) II კატეგორია- სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად ან სიძველის გამო და აღდგენას არ ექვემდებარება;

გ) III კატეგორია - სახლი საცხოვრებლად ვარგისია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია და დამხმარე ნაგებობა მნიშვნელოვნად დაზიანებული ან განადგურებულია სტიქიური მოვლენების შედეგად.

4. დახმარების ოდენობა კატეგორიების მიხედვით:

ა) პირველი კატეგორია –1000-დან 1500ლარამდე;

ბ) მეორე კატეგორია –500-დან 1000 ლარამდე;

გ)მესამე კატეგორია – 200-დან 500ლარამდე;

მუხლი 3. მატერიალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

1. სამედიცინო მომსახურებისათვის (ოპერაცია, მშობიარობა, მკურნალობა, გამოკვლევა) დახმარების დასაფინანსებლად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ჯანმრთელობის ცნობა;

დ) ანგარიშფაქტურა;

ე) კალკულაცია;

ვ) გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ზ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან 65000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის შემთხვევაში;

თ) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის ან სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი.

2. ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა)განცხადება;

ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)გამგებლის წარმომადგენლის ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის

შესახებ;

დ)განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მონაწილეობის შემთხვევაში).

3. მედიკამენტების შესაძენად დახმარებისათვის მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ჯანმრთელობის ცნობა;

დ) ანგარიშფაქტურა;

ე) ექიმის მიერ დანიშნული წამლების ჩამონათვალი ბეჭდით დამოწმებული და

ხელმოწერილი;

ვ) გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

4. გარდაცვლილი დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) ომის მონაწილის ან დევნილობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ვ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

5. სოციალურად დაუცველი გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად ოჯახის ერთ- ერთმა წევრმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ი ს სარეიტინგო ქულის

შესახებ;

ვ) გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ზ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

6. ახალშობილის ოჯახმა (მშობელმა), რომელიც რეგისტრირებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დახმარებისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლი(მეორე დაყოველი მომდევნო ბავშვის შეძენის შემთხვევაში წარმოადგინოს ყველა დანარჩენი ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი);

დ)ახალშობილის რეგისტრაციის

ბარათი;

ე)საბანკო ანგარიშის ნომერი;

ვ) გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

7. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) საბანკო ანგარიშის ნომერი;

გ) გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

დ) საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტაცია.

8. კოხლეარული იმპლანტის აპარატის ელემენტის შესაძენად დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით.

დახმარების მიმღებმა განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) მშობლის/უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) არასრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა N100;

დ) ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი მომწოდებლიდან.

9. ,,C" ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით ,,C" ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის განსასაზღვრი კვლევების დაფინანსებისთვის ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

გ) ინვოისი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

10. ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე და ლეიკემიითდაავადებულმა ბენეფიციარებმა წლის დასაწყისში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 4. სოციალური დახმარების თაობაზე შემოსული განცხადებების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ

და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებისა და ამ წესით განსაზღვრული სხვა პირთა განცხადებებს დახმარების გაწევის მიზნით განიხილავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

მუხლი 5. კომისიის უფლებამოსილება

კომისია უფლებამოსილია:
1.განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით და მიიღოს გადაწყვეტილება
დახმარების გაწევაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ხარაგაულის
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საჭიროებენ სამედიცინო ან ფინანსურ დახმარებას. გამონაკლის
შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ბენეფიციარისთვის დახმარების ორმაგი ოდენობით გაცემის
შესახებ, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა სიცოცხლისათვის.

2.ერჯერადი მატერიალური (ფინანსური) დახმარება გამონაკლის შემთხვევაში წლის განმავლობაში გასცეს განმეორებით იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიშს წარმოადგენს.

3. აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მოქალაქის მკურნალობის და ოპერაციის დასაფინანსებლად სამედიცინო დაწესებულებაში საგარანტიო წერილის გაგზავნის თაობაზე.

4. მიიღოს გადაწყვეტილება სტიქიით დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და თანდართული, შესაბამისი საბუთების საფუძველზე სტიქიით დაზარალებულთა და უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალურ დახმარებაზე, მინიჭებული კატეგორიის მიხედვით. აგრეთვე, გამონაკლისის სახით, სტიქიით დაზარალებული და უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებისთვის დახმარების ორმაგ ოდენობამდე გაცემაზე.

5.უზრუნველყოს საგარანტიო წერილებში მითითებული ვადების დაცვა თანხის ჩარიცხვაზე.

6.უზრუნველყოს მოქალაქეთა და სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელთა ინფორმირება ფინანსური ანგარიშსწორების შესახებ და მოითხოვოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელებისაგან შესრულებული სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღება.

7. შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (მრავალშვილიანი დედები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მებრძოლი ინვალიდები, სამამულო ომის მონაწილეები, დავრდომილები და სხვ.) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა დახმარებების გასაწევად.

8.კომისიას უფლება აქვს სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სხვა რომელიმე წევრი ან შესაბამისი სფეროს სპეციალისტი.

მუხლი6. კომისიის თავმჯდომარე და წევრები

1. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის მოწვევას თვეში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში_თვეში რამდენჯერმე.

2. კომისია გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების განხილვას და ამ წესით განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი7.კომისიის სხდომის ოქმი

1.კომისიის სხდომაზე დგება კომისიის სხდომის ოქმი,რომელშიც აისახება კომისიის დასახელება, კომისიის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, კომისიის სხდომის თავმჯდომარის და კომისიის სხდომაზე მონაწილე წევრთა ვინაობა, კომისიის დღის წესრიგის საკითხები, წამოყენებული წინადადებები და მიღებული გადაწყვეტილება. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.

2. კომისიის სხდომის ოქმი ხელმოწერიდან 2 დღის ვადაში მოქალაქეთა განცხადებებთან და ბრძანების პროექტთან ერთად იგზავნება მუნიციპალიტეტისგამგებელთან.